სამშობლო, დიდის ძუძუი რა გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

1991
შაბათი
5
იანვარი
N 3 (10396)
ფასი 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი
## პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

### დადგენილება

### „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის სახალხო განხილვის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი გამოქვეყნდეს სახალხო განხილვისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი. 1990 წლის 27 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკა, მთელი მისი მოსახლეობა ილვწის სრული დამოუკიდებლობის აღდგენისა და ჭეშმარიტად დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის. ამ მიზნის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავისუფალი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა დემოკრატიულ საკანონმდებლო გარანტიებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობას საფუძვლად უდევს ჰუმანიზმის, თანასწორობის, მიმტევებლობისა და სიკეთის პრინციპები, რომლებიც ხელს უწყობენ დემოკრატიის განვითარებას საზოგადოებრივ და სახელმწიფო პროგრესს.

პრესის თავისუფლება თავისუფალი საზოგადოების საფუძველია.

### თავი I
### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** პრესის თავისუფლება

საქართველოს რესპუბლიკის პრესა და ინფორმაციის სხვა საშუალებები თავისუფალია, რაც გარანტირებულია რესპუბლიკის კონსტიტუციით.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ გამოთქვან საკუთარი აზრი და დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა ცენზურა დაუშვებელია.

**მუხლი 2.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იგულისხმება გაზეთები, ჟურნალები, ტელე-რადიოპროგრამები, კინოდოკუმენტალისტიკა, მასობრივი ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების სხვა პერიოდული საშუალებები რომელთა საქმიანობას წარმართავენ პერიოდული პრესის, ტელე და რადიომაუწყებლობის რედაქციები (საინფორმაციო სააგენტოები, სხვა დაწესებულებები).

**მუხლი 3.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენა

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა ენაა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა—ქართული.

საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნების მოქალაქეებს უფლება აქვთ ინფორმაცია გაავრცელონ სხვა ენებზე, თუ ეს ინფორმაცია მიმართული არ არის რესპუბლიკის ინტერესების წინააღმდეგ.

**მუხლი 4.** საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქცია იურიდიული პირია, რომელიც მოქმედებს თავისი წესდების საფუძველზე.

რედაქციას უფლება აქვს ახორციელებდეს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სამეურნეო ანგარიშის პირობებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის სახელმწიფო დოტაციების მიცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ დააარსონ სააქციონერო საზოგადოებები, დაამყარონ საქმიანი სამეურნეო ურთიერთობა უცხოეთის საზოგადოებებთან, ფირმებთან, კერძო პირებთან, გაყიდონ აქციები უცხოეთში (არა უმეტეს 20 პროცენტისა).

**მუხლი 5.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ:

ა) სახელმწიფო საიდუმლოებათა გამჟღავნება;

ბ) არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით დამხობის ან შეცვლისაკენ მოწოდება;

გ) ომის, სისასტიკის, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური შეუწყნარებლობის პროპაგანდა;

დ) პორნოგრაფიული და სხვა ამგვარი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას;

ე) მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა, მათი პიროვნული ღირსების ხელყოფა;

ვ) ყალბი და შეუმოწმებელი ინფორმაციების გადაცემა, შეგნებული დეზინფორმირება საზოგადოებისა.

**მუხლი 6.** საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ

კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ შედგება ამ კანონისა და მის შესაბამისად გამოცემული კანონმდებლობისა და აქტებისაგან, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ავტონომიური წარმონაქმნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ კანონმდებლობისა და სხვა აქტებისაგან.

### თავი II
### მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობა და გავრცელება

**მუხლი 7.** დაარსების უფლება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დაარსების უფლება აქვთ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივ მოძრაობებს, შემოქმედებით კავშირებს, სხვა გაერთიანებებს, რომლებიც შექმნილია კანონის შესაბამისად, შრომითს კოლექტივებს, აგრეთვე თვრამეტი წლის ასაკს მიღწეულ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს. ამ ორგანიზაციებსა და პირებს აქვთ უფლება ერთი ან რამდენიმე გაზეთის დაარსებისა, მაგრამ არ დაიშვება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაცია.

**მუხლი 8.** რეგისტრაცია

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა რედაქციები თავიანთ საქმიანობას იწყებენ რეგისტრაციის შემდეგ.

რესპუბლიკური პრესის, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა რეგისტრაციის შესახებ განცხადება დამფუძნებლებს შეაქვთ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, ხოლო ავტონომიის ან ადგილობრივი აუდიტორიისათვის გათვალისწინებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რეგისტრაციის შესახებ განცხადება—შესაბამის აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებში. განცხადება განხილული უნდა იქნეს მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

საერთაშორისო აუდიტორიისათვის გათვალისწინებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

იმ შემთხვევაში, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოშვების ნებართვა განმცხადებელმა დროულად არ გამოიყენა, ძალადაკარგულად ითვლება ერთი წლის შემდეგ.

**მუხლი 9.** განცხადება მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციის შესახებ

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციის შესახებ განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს:

1) დამფუძნებელი, გამომცემელი;

2) სახელწოდება, ენა, ადგილმდებარეობა;

3) სავარაუდო აუდიტორია;

4) მიზნები და ამოცანები;

5) პერიოდულობა, მოცულობა და დაფინანსების წყაროები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციის დროს სხვა მოთხოვნების წამოყენება აკრძალულია.

**მუხლი 10.** რეგისტრაციის გარეშე ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები

რეგისტრაციას არ საჭიროებენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, სხვა სახელმწიფო ორგანოები ოფიციალური ნორმატიული და სხვა აქტების, სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკის ბიულეტენების გამოცემისათვის, აგრეთვე ათას ცალზე ნაკლები ბეჭვდითი პროდუქციის გამოშვება, ამავე ტირაჟის ვიწრო სპეციალური ლიტერატურა, რომელიც საჯარო გავრცელებისათვის არ არის გამიზნული.

**მუხლი 11.** რეგისტრაციაზე უარის თქმა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებას რეგისტრაციაზე შეიძლება უარი ეთქვას:

ა) თუ მისი მიზნები ეწინააღმდეგება ამ კანონს;

ბ) თუ ამავე სახელწოდების სხვა გამოცემაც არსებობს;

გ) თუ აკრძალული მასობრივი ინფორმაციის საშუალების გაუქმებიდან არ არის გასული ერთი წელი.

**მუხლი 12.** სარეგისტრაციო გადასახადი

სარეგისტრაციო გადასახადს იხდიან არსებული კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 13.** გამოშვების ან გამოცემის შეწყვეტა

მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოშვების ან გამოცემის შეწყვეტა შეიძლება დამფუძნებლისა და გამომცემლის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების გამოცემა აიკრძალება, თუ იგი განმეორებით დაარღვევს ამ კანონის მე-5 მუხლის პირველ ნაწილს.

თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება არ ფუნქციონირებს ერთი წლის განმავლობაში, იგი მექანიკურად უქმდება და საჭიროა მისი ხელახალი რეგისტრაცია.

რეგისტრაციისა და აკრძალვის საკითხებთან დაკავშირებულ კონფლიქტს წყვეტს სასამართლო.

თუ დამფუძნებელი, გამომცემელი გააუქმებს ამა თუ იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას, რედაქციის შრომითს კოლექტივს ან რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) აქვს უპირატესი უფლება დააარსოს იმავე სახელწოდების მასობრივი ინფორმაციის საშუალება.

**მუხლი 14.** მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებელი, რედაქტორი, რედაქცია და გამომცემელი

დამფუძნებელი განსაზღვრავს მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის პროგრამას (ძირითად პრინციპებს).

თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებელი არ არის გამომცემელი, დამფინანსებელი, მათ შორის იდება ხელშეკრულება. ფინანსურად დამოუკიდებელ გამომცემელს უფლება აქვს იყოს დამფუძნებელიც. მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებლის, რედაქციისა და გამომცემლის საწარმოო, ქონებრივი და ფინანსური ურთიერთობის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობა და ხელშეკრულება. დამფუძნებელს, გამომცემელს და რედაქციას შორის ფინანსურ თუ სხვა ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტს განიხილავს სასამართლო.

რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) ნიშნავენ ან ათავისუფლებენ დამფუძნებელი და გამომცემელი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით, ან ირჩევს და ათავისუფლებს კოლექტივი თავისი წესდების მიხედვით.

რედაქციის საქმიანობას ხელმძღვანელობს და წარმართავს რედაქტორი (მთავარი რედაქტორი).

სარედაქციო კოლეგია იქმნება სარედაქციო წესდების მიხედვით.

**მუხლი 15.** სარედაქციო წესდება

მასობრივი ინფორმაციის საშ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

პროექტი

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ

(დასასრული)

ულების სარედაქციო წესდებას იღებენ რედაქციის კოლექტივის საერთო კრებაზე ხმების უმრავლესობით, რომელსაც ესწრება მისი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი და ამტკიცებს დამფუძნებელი ან გამომცემელი. კონფლიქტის შემთხვევაში ურთიერთობას აგვარებს სასამართლო.

სარედაქციო წესდება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კანონს.

**მუხლი 16.** გამოსასვლელი მონაცემები

ყოველ პერიოდულ ბეჭვდით გამოცემაზე უნდა აღინიშნოს:

1) სახელწოდება;

2) დამფუძნებელი, გამომცემელი;

3) რედაქტორის (მთავარი რედაქტორის) სახელი და გვარი;

4) გამოშვების რიგითი ნომერი და გამოსვლის თარიღი პერიოდული გამოცემებისათვის, ხოლო გაზეთებისათვის — დასაბეჭდად ხელმოწერის დროც;

5) ინდექსი;

6) ტირაჟი;

7) ფასი;

8) რედაქციისა და სტამბის მისამართები.

ეთერში ყოველი გასვლის დროს ტელე-რადიომაუწყებლობის რედაქციები მოვალენი არიან გამოაცხადონ თავის სახელწოდება.

**მუხლი 17.** საკონტროლო და სავალდებულო ეგზემპლარები

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების უფასო საკონტროლო ეგზემპლარები ეგზავნებათ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ცენტრალურ ბიბლიოთეკებსა და საცავებს.

ტელე-რადიო მაუწყებლობის რედაქციები მოვალენი არიან გადაცემათა მასალები შეინახონ ეთერში გასვლის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში.

**მუხლი 18.** გავრცელების წესი და ნებართვა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციას ავრცელებენ უშუალოდ გამომცემელი, კავშირგაბმულობის საწარმოები, ორგანიზაციები ან მოქალაქეები ხელშეკრულებით ან სხვა კანონიერ საფუძვლებზე.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციის თითოეული ცალკე გამოშვების (გამოსასვლელი მონაცემებით) გავრცელება ხდება რედაქტორის (მთავარი რედაქტორის) ნებართვის შემდეგ.

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ტირაჟს განსაზღვრავს რედაქტორი (მთავარი რედაქტორი).

კანონიერ საფუძველზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციის გავრცელებისათვის ხელის შეშლა, მათ შორის ტირაჟის ან მისი ნაწილის ამოღება დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

**მუხლი 19.** ოფიციალური ცნობები

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი მოვალენი არიან გამოაქვეყნონ ამ ორგანოების ოფიციალური ცნობები უფასოდ.

## თავი III

## მოქალაქეთა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობანი

**მუხლი 20.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ინფორმაციის მიღების უფლება

მოქალაქეებს აქვთ უფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ოპერატიულად მიიღონ ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის შესახებ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ ასეთი ინფორმაცია მიიღონ სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და თანამდებობის პირთაგან და გაეცნონ მათთვის საჭირო დოკუმენტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება აქვთ მიმართონ ზემდგომ ორგანოებს ან სასამართლოს.

**მუხლი 21.** ავტორთა მასალებისა და წერილების გამოქვეყნება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ მასალების გამოყენება ჟურნალისტიკის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებიდან შეიძლება საავტორო უფლების დაურღვევლად.

არავის არა აქვს უფლება დაავალდებულოს მასობრივი ინფორმაციის საშუალება გამოაქვეყნოს რედაქციის მიერ უარყოფილი მასალა.

მკითხველთა წერილების გამოქვეყნებისას შეიძლება მათი ტექსტის შემცირება და რედაქტირება, თუ არ მახინჯდება წერილთა აზრი.

**მუხლი 22.** უარყოფისა და პასუხის უფლება

მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქციას მოსთხოვოს პატივისა და ღირსების შემლახავი, ცილისმწამებლური მასალის უარყოფა.

უარყოფა ან პასუხი ქვეყნდება გაზეთში სპეციალური რუბრიკით იმავე გვერდზე, ან გადაიცემა ტელევიზიით (რადიოთი) მოთხოვნის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

თუ მოქალაქეს ან ორგანიზაციას არ აკმაყოფილებს პასუხი, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

**მუხლი 23.** ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შემთხვევები

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქციას, ჟურნალისტს უფლება არა აქვს:

1) გაახმაუროს წინასწარი გამოძიების მონაცემები სპეციალური ნებართვის გარეშე, რომელსაც იძლევა პროკურორი, გამომძიებელი ან მომკვლევი პირი;

2) საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანოს ინფორმაცია არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის შესახებ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე;

3) წინასწარ განსაზღვროს სასამართლოს შედეგები ან სხვაგვარად მოახდინოს ზემოქმედება სასამართლოზე.

**მუხლი 24.** ჟურნალისტი და მისი უფლებები

ჟურნალისტი არის პირი, რომელიც აგროვებს, ქმნის, არედაქტირებს ან ამზადებს მასალებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის და აქვს ამის სათანადო რწმუნება, ან არის ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

ჟურნალისტს უფლება აქვს:

1) მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია;

2) შევიდეს ნებისმიერ ინსტანციასა და ორგანიზაციაში და შეხვდეს თანამდებობის პირებს პროფესიული ჟურნალისტური მოვალეობის შესასრულებლად;

3) ჩაიწეროს მასალა ნებისმიერი საშუალებით (მათ შორის აუდიოვიზუალური ტექნიკის გამოყენება, კინო და ფოტოგადაღება კანონით აკრძალული შემთხვევების გარდა;

4) დაესწროს მასობრივ ღონისძიებებს — საზოგადოებრივ თავყრილობებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს, დაუბრკოლებლად ჩავიდეს სტიქიურ უბედურებათა რაიონებში და ა. შ.

5) მიმართოს სპეციალისტებს შემოსული მასალების შესამოწმებლად;

6) მოითხოვოს ავტორობის საიდუმლოების შენახვა;

7) არ მოაწეროს ხელი და არ მოამზადოს მასალა, რომელიც ეწინააღმდეგება მის მრწამსს, ანდა სარედაქციო სწორების დროს დამახინჯდა;

8) ჟურნალისტს უფლება აქვს ისარგებლოს ნებისმიერი საარქივო მასალით, საიდუმლო და სპეც ფონდით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ეხება სახელმწიფო საიდუმლოებას ან პიროვნების ღირსებას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ ჟურნალისტი წინასწარ მიავლინონ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომლებიც ვალდებული არიან უზრუნველყონ ჟურნალისტის სამუშაო პირობები.

**მუხლი 25.** ჟურნალისტის მოვალეობანი

ჟურნალისტი მოვალეა:

1) დაიცვას სარედაქციო წესდება და პროგრამა;

2) შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა;

3) დააკმაყოფილოს ინფორმაციის მიმწოდებელ პირთა თხოვნა მათი ავტორობის მითითების შესახებ, თუ ასეთი ინფორმაცია პირველად ქვეყნდება;

4) უარი თქვას რედაქტორის (მთავარი რედაქტორის) ან რედაქციის მიერ მისთვის მიცემულ დავალებაზე, თუ ეს დავალება არღვევს კანონს და მის ზნეობრივ მრწამსს ეწინააღმდეგება;

5) პატივი სცეს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა კონსტიტუციურ უფლებებს.

## თავი IV

## პასუხისმგებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

**მუხლი 26.** პასუხისმგებლობის საფუძვლები

სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება, სინამდვილისათვის შეუსაბამო ცნობების გავრცელება, რომლებიც ბღალავენ მოქალაქის ან ორგანიზაციის პატივსა და ღირსებას, ჟურნალისტთა ზემოქმედება სასამართლოზე იწვევს სისხლის სამართლის ადმინისტრაციულ ან სხვა პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ბრალეულ თანამდებობის პირებს, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქციას, რედაქტორს (მთავარ რედაქტორს), მასალის ავტორს.

**მუხლი 27.** მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობაში ჩარევლობა

სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების, ნებისმიერი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ჟურნალისტთა ან რედაქციათა კანონიერი პროფესიული საქმიანობის დაბრკოლება, ჟურნალისტთა და რედაქციათა იძულება გაავრცელონ ყალბი და შეუმოწმებელი ინფორმაცია ან უარი თქვან შემოწმებული ინფორმაციის გავრცელებაზე, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება ჯარიმით 500-დან 1000 მანეთამდე. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

**მუხლი 28.** პასუხისმგებლობა მასობრივი ინფორმაციის უკანონო მომზადებისა და გავრცელებისათვის

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციის შექმნა და გავრცელება; თუ იგი რეგისტრაციაში არ არის გატარებული, იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ხუთას მანეთამდე ჯარიმის სახით, რომელსაც სასამართლო აკისრებს ნაბეჭდი ან სხვა პროდუქციის ტირაჟის ამოღებითურთ.

წლის განმავლობაში ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის განმეორებით ჩადენა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება ჯარიმით ათას მანეთამდე, ბრალეულის კუთვნილი იმ ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით, რომლებსაც იყენებდა იგი ინფორმაციის მომზადებისა და გავრცელებისათვის.

**მუხლი 29.** პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევები

რედაქტორს (მთავარ რედაქტორს), აგრეთვე ჟურნალისტს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა სინამდვილის შეუფერებელი ცნობების გავრცელებისათვის, თუ:

1) ამ ცნობებს შეიცავდა ოფიციალური ინფორმაციები;

2) ისინი მიღებულია საინფორმაციო სააგენტოების ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების პრესსამსახურებისაგან;

3) სიტყვასიტყვით იმეორებენ სხვადასხვა ოფიციალურ თავყრილობებზე პასუხისმგებელ პირთა გამოსვლებს;

4) ასეთი ცნობები იყო გამოსვლებში, რომლებიც ეთერში გადის წინასწარი ჩაწერის გარეშე ან ტექსტებში, რომლებიც არ ექვემდებარება რედაქტირებას ამ კანონის შესაბამისად.

## თავი V

## საერთაშორისო თანამშრომლობა

**მუხლი 30.** საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ დადონ შეთანხმებანი უცხოეთის მოქალაქეებთან და ორგანიზაციებთან თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ურთიერთობის სხვა წესები, ვიდრე ეს კანონი ითვალისწინებს, პრიორიტეტი ენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია საზღვარგარეთის წყაროებიდან (ტელევიზია, რადიო, პრესა).

**მუხლი 31.** საქართველოში უცხოელი ჟურნალისტების, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა დიპლომატიურ და სხვა წარმომადგენელთა საინფორმაციო საქმიანობა

საქართველოს რესპუბლიკაში აკრედიტებული უცხოელი კორესპონდენტებისა და უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სხვა წარმომადგენლების სამართლებრივ მდგომარეობასა და პროფესიულ საქმიანობას, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური, საკონსულო და სხვა ოფიციალური წარმომადგენლობების საინფორმაციო საქმიანობას არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა და შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები.

## თავი VI

## კონტროლი კანონისადმი და მისი განხორციელება

**მუხლი 32.** კანონის დაცვისა და განხორციელების ზედამხედველობის კომისია

პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის დაცვასა და განხორციელებას კონტროლს უწევს სპეციალური კომისია, რომელიც შედგება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომპეტენტური პირებისაგან. კომისიის შემადგენლობა უნდა განისაზღვროს არა უმეტეს 21 კაცით. არჩევის დღიდან კომისიის წევრს აღარ აქვს უფლება მუშაობდეს პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებებში.

კომისიის წევრებს ირჩევენ 5 წლის ვადით საქართველოს პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელთა საერთო კრებაზე. კომისიის წევრები ირჩევენ თავმჯდომარეს და თავმჯდომარის წინადადებით 2 მოადგილეს. კომისია გაწეული მუშაობის შესახებ ყოველწლიურად ანგარიშით აბარებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

ამ კანონის მუხლები იმპერატიული ხასიათისაა, და უნდა შესრულდეს როგორც საქართველოს რესპუბლიკის კანონი.

# „ქრისტე იშვების, უგალობდეთ!“

ყოვლითა შემოქმედმა ღმერთმა ხილული სამყარო სიყვარულით შექმნა, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარული მისი წილად ხვდა ქმნილებათა გვირგვინს, ადამიანს, რომელსაც უფალმა ხატი თვისი მისცა. „რაოდენ უზეშთაესად პატივდებულ არს ადამიანი“ — გალობითა და აღფრთოვანებითაა ნათქვამი ერთ ძველ საგალობელში, რომელიც უფლისაგან პირველი ადამიანების შექმნის შესახებ მოგვითხრობს. ამ სიყვარულით მინიჭებული პატივის სიდიადეზე მეტყველებს ისიც, რომ როცა შემოქმედმა ადამიანს თავისი უკვდავი სული შთაბერა, იგი მსახურად და მონად კი არა, არამედ მეგობრად შექმნა და თავისუფალი ნება მისცა. სამწუხაროდ, სატანისაგან ცდუნებულმა ადამიანმა დაარღვია უფლისაგან მიცემული პირველივე მცნება: „ყოველისაგან ხისა სამოთხისა ჭამით შჭამო, ხოლო ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ, რამეთუ რომელსა დღესა შჭამოთ მისგან, სიკუდილითა მოსწყდეთ“ (დაბადება 2,16-17). ადამიანის ნება წინ აღუდგა უფლის ნებას, რაზეც მისი ცოდვით დაცემა და სიკვდილი გამოიწვია.

მაგრამ ღვთაებრივი სიყვარული განსხვავებით კაცობრივი სიყვარულისაგან მარადიული და უცვლელია. ჩვენ კი არ შევიყვარეთ ღმერთი, რომელიც თავად „სიყვარული არს“, არამედ მან შეგვიყვარა ჩვენ. (1 იოანე 4,8-10). ამ სიყვარულის დასტურად კაცობრიობის ცოდვის ტყვეობისაგან გამოსახსნელად ღმერთმა თავისი მხოლოდშობილი ძე მოგვივლინა.

აღსრულდა უდიდესი საიდუმლო, საიდუმლო უფლის სიტყვის განკაცებისა, ანუ იესო ქრისტეს შობისა. უფალმა თავი დაიმდაბლა, კაცობრივი ხორციც შეისხა, რათა ადამის მოდგმის დატყვევებული ბუნება აღედგინა და ჩვენთვის ხსნის გზა ეჩვენებინა. 25 დეკემბერს იუდეის ბეთლემში იესო ქრისტეს შობამ დაგვანახა სიდიადე სიყვარულის მშვენიერი ნაყოფის — თავმდაბლობისა.

სახარებაში ვკითხულობთ, კეისარმა ავგუსტუსმა ბრძანა აღწერა ჩაეტარებინათ მთელ ქვეყანაში. ყველამ თავ-თავის ქალაქს მიაშურა ჩასაწერად. წავიდა იოსებიც თავის დანიშნულ მარიამთან ერთად გალილეიდან დავითის ქალაქ ბეთლემში, რადგანაც დავითის სახლისა და გვარისა იყო. ამ დროს მოაღწია მშობიარობის ჟამმა ქალწული მარიამისა, რომელიც ფეხმძიმედ იყო სულისაგან წმიდისა. რადგანაც ბეთლემში ჩამოსული ხალხის სიმრავლის გამო ფუნდუკში ადგილი ვერ იშოვეს, ჩვრებში შეხვეული ყრმა იესო დედამ ბაგაში ჩააწვინა. უფლის ანგელოზმა სიკვდილად ველად დამდგარ მწყემსებს ახარა მაცხოვრის საწყაულებრივი შობა. ზ რობდნენ ზეციური ძალები, ადიდებდნენ ღმერთს და გალობდნენ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა 2,1-14). მწყემსებთან ერთად ყრმა ღმერთის თაყვანის საცემად მოვიდნენ მოგვებიც აღმოსავლეთიდან, რომელთაც ღვთაებრივი ძალამ, კაშკაშა ვარსკვლავის სახით წარმოდგენილმა ამცნო კაცობრიობის მხსნელის ხორციელად შობა. უდიდესმა სახსწაულმა კერპთაყვანისმცემელი მოგვებიც აიძულა დაჩოქილიყვნენ, თაყვანი ეცათ ჩვილისათვის და როგორც ღვთისა და კაცისათვის ძღვენიც მიერთმიათ: „და აღაღეს მათთა და შეწირეს მისა ძღვენი: ოქროი, გუნდრუკი და მური“ (მათე 2,11).

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობელში, რომლის უბიწო ხხეულმა დაუტევნელი დაიტია და ხორცშესხმული ღვთის ჰურჭლად იქცა ვკითხულობთ:

„გიხაროდენ,
მესაიდუმლეო,
განზრახვისა
გამოუთქმელისაო;
გიხაროდენ, წყაროო
მოქნეო სარწმუნოებისაო;
გიხაროდენ, დასაბამო
ქრისტეს
საკვირველებათაო;
გიხაროდენ, თავო სჯულთა
მისთაო;
გიხაროდენ, კიბეო
ზეცისაო, რომლისა მიერ
გარდამოხდა
შენ ზედა ღმერთი;
გიხაროდენ, ხიდო წიაღ
მყვანებელო ქვეყანისათაო
ცად მიმართ;
გიხაროდენ, ანგელოზთა
მრავალგანთქმულო
საკვირველებაო;
გიხაროდენ, ეშმაკთა
მრავალსაგოდებელო
წყლულებაო;
გიხაროდენ, ნათლისა
გამოუთქმელისა
მშობელო,
გიხაროდენ, ხძალო
უსძლოო“.

ყოვლადწმიდა მარიამი გახდა „იევას ცრემლთა მხსნელი“ და როგორც საგალობელში ვკითხულობთ, ხიდი ქვეყანასა და ზეცას, ადამის მოდგმასა და ღმერთს შორის, რადგან: „ჭეშმარიტად ღმერთი ღმერთისაგან იშვა და ჭეშმარიტად კაცი ქალწულისაგან, ზეცას — მხოლოი, მხოლოისაგან მხოლოდშობილი, და ქვეყანასა ზედა ქალწულისაგან მხოლოდშობილი“ (ათანასე ალექსანდრიელი „განკაცებისათვის უფლისა“).

იოანე ოქროპირი მოგვიწოდებს გულისხმა ვყოთ უსაზღვრო სიყვარულს ღვთისა, ვინც „თვისი იგი, ბრწყინვალებაი ზეცას დაუტევა, და ჩუენ თანა ჭერ იჩინა დამკვიდრებაი მარადის სულთა ჩვენთა განაბრწყინებს და თუალით მ ილველ ვართ ხორციელად“, (შობისათვის.).

ჯოველი დაბადებული დღესასწაულობს ქრისტეს შობას, რადგანაც ღმერთს დედამიწაზე ვხედავთ, ხოლო კაცს — ცათა შინა. განკაცებულმა უფალმა ხომ გვაჩვენა გზა ღვთის წიაღში დაბრუნებისა, განღმრთობისა. ღმერთი გარდამოხდა ზეცით, რ.თა ჩვენც ავსვლდეთ ზეცად, ანუ როგორც პავლე მოციქული გვასწავლის: განვიძარცვოთ ძველი იგი კაცი და შევიმოსოთ ახალი და ვითარცა ადამის მიერ მოვკვდით, ეგრეცა ქრისტეს მიერ ვცხონდეთ (ეფ. 4,22-23, 1 კორინ. 15,22).

უკეთუ ღმერთმა ესე შეგვიყვარა, ჩვენც უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, რითაც მის სიყვარულსაც დავადასტურებთ, რადგან: „უკეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ მიყუარს ღმერთი და ძმაი თვისი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არა უყუარდეს ძმაი თვისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უც შეყუარებად? და ესე მცნებაი მივიღეთ მისგან, რაითა რომელსა უყუარდეს ღმერთი, უყუარდეს ძმაიცა თვისი“. (1 იოანე 4,20-21).

ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულის ჟამს შევთხოვოთ უფალს მოგვმადლოს ძალა საკუთარი ცოდვების ხილვისა და ცრემლი სინანულისა. რაც მეტიც საწინდარი იქნება იმისა, რომ მოყვასსაც შევიყვარებთ და უფალსაც. განვწმინდოთ ჩვენში არსებული ტაძარი სული წმიდისა — გული, ურთიერთისა და უფლის სიყვარულისათვის და ასე შევეგებოთ ღვთაებრივი სიყვარულის ზეიმს — ქრისტეს შობას:

„ქრისტე იშ-ების, უგალობდეთ: ქრისტე ზეცით გარდამოვალს, მიეგებვოდეთ; ქრისტე ქუეყანასა ზედა, ამაღლდებოდეთ! იხარებდინ ცანი და გალობდინ ქუეყანაი“. ქრისტე ხორციელად — შიშით და სიხარულით უგალობდეთ! შიშით — ცოდვისათვის და სიხარულით — სასოებისათვის“ (გრიგოლ ღვთისმეტყველი).

ზვანეა კოპლატაძე.

გაზეთი „მადლი“, 29 დეკემბერი, 1990 წ.

# გამოვა ახალი გაზეთი „ჯვარის მოამბე“

1991 წლის იანვრიდან „ენგურის ჩირაღდანი“ გამოვა ახალი სათაურითა და ახალი პროფილით. მკითხველებთან მოთათბირების შემდეგ სათაურად „ჯვარის მოამბე“ ვარჩიეთ.

„ჯვარის მოამბე“ იქნება საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პუბლიცისტურ - ლიტერატურული დამოუკიდებელი, თავისუფალი გაზეთი, რომელიც გამოვა იმ ხზონსორორგანიზაციათა ფინანსური მხარდაჭერით, რომელთა ხელმძღვანელებსაც, თავიანთ მ მეულიშვილურ მოვალეობად მიაჩნიათ უწყებრივ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობასთან ერთად ზელი შეუწყონ რეგიონის კულტურული და სულიერი ცხოვრების აღორძინებას, წინსვლა-განვითარებას. მათ ჩვენი გაზეთის პირველ ნომერში გაეცნობიან მკითხველები.

უცილო ჭეშმარიტებაა: დემოკრატიულ სახელმწიფოში მაღალი კულტურისა და ზნეობის ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ. სხვა შემთხვევაში დემოკრატია მხოლოდ ქაოსს, ანარქიასა და უპასუხისმგებლობას წარმოშობს. ამის ნათელი მაგალითია ჩვენი დღევანდელობა.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ შემთხვევაში შეუძლია გაზეთს, დიდი როლის შესრულება. მან უნდა იკისროს და შეძლოს უნდა კიდევაც ინტელიგენციის, პატიოსანი მშრომელების, ყველა კეთილი ნების ადამიანის გაერთიანება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებისადმი, სადი, ყოველმხრივ აწონილი აზრისა და ზნეობრიობის სანთლის წამძღვარება.

„ჯვარის მოამბის“ უპირველესი მიზანია ემსახუროს საქართველოს, რეგიონის, ქალაქის, მისი შემოგარენის აღმშენებლობას, ქართველი ხალხის, საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხების, რეგიონისა და ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობას, კულტურულ, ზნეობრივ და სულიერ განვითარებას - ამაღლებას საქმეს, ერისა და პიროვნების, სინდისის თავისუფლების იდეალებს. აქტიურად იბრძოლებს ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ, მტკიცედ დაგმობს სიძულვილსა და მანკიერებებს, რომლებიც არცხვენენ ერსა და პიროვნებას, ქალაქსა და სოფელს.

ჩვენი მისწრაფებაა „ჯვარის მოამბე“ იყოს თითოეული მკითხველის საკუთარი გაზეთი, მათი გულთქმის საშუალება. ამასთან იყოს საინტერესო და მიმზიდველი. ამისთვის კი საჭიროა, რედაქციის შევსება ახალი კომპეტენტური კადრებით.

თუ თქვენ გიყვართ დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობა, ახლის ძიება, ინიციატივა, ექსპერიმენტები, არ იხევთ უკან სიძნელეთა წინაშე, მზად ხართ დაიცვათ პატიოსანი, მშრომელი ადამიანის ინტერესები — გთხოვთ მობრძანდეთ ჩვენთან.

ვაკანტურია რედაქტორის მოადგილისა და კორესპონდენტების თანამდებობები.

ჩვენი მისამართია: ქ. ჯვარი, რუსთაველის — 1 (ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს შენობაში)

დღეს უკიდურესი ძვირდება, რა დასამალია, უჭირს ბევრ პატიოსან მშრომელს, ამიტომ სპონსორების ხელშეწყობით შევეცადეთ, რომ „ჯვარის მოამბე“ სხვა გაზეთებთან შედარებით იაფი ყოფილიყო:

გაზეთის ხელმოწერა ერთი წლით სულ 3 მანეთი და 60 კაპიკი ღირს

6 თვით — 2 მანეთი და 70 კაპიკი

3 თვით — მანეთი და 80 კაპიკი

გაზეთის საცალო ფასი კიოსკებში 10 კაპიკია.

გაზეთ „ჯვარის მოამბის“ ხელმომწერლები, ვისაც ამის სურვილი აქვს, გაზეთის გამოწერისას ან გამოწერის ქვითრის წარდგენის შემდეგ მიიღებენ ტალონს წიგნისას „მე — იოსებ სტალინი“. კრებულს (2 ტომად) გამოსაცემად ამზადებს გამომცემლობა „მერნის“ ფირმა „ქალდეა“.

წიგნში შევა ი. სტალინის ბიოგრაფია, ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან, სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეთა შესაბამისი მოგონებები, სტალინის შვილის სვეტლანა ალილუევას ჩვენში გამოუქვეყნებელი წერილები, მასალები სტალინის ოჯახის წევრებზე, სადავო ფაქტთა ინტერპრეტაციები, ვერსიები, სხვა და სხვა.

ისტორიას, გვხიბლავს იგი თუ არა, მაინც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავლის სწორად განჭვრეტისათვის, ამიტომ, ვფიქრობთ, ამ კრებულს შეიძენს ყველა დაინტერესებული მკითხველი.

ტალონის ღირებულებაა 8 მანეთი,

პირველი ტომისა — 10 მანეთი.

მეორე ტომისა — 8 მანეთი (შედის ტალონის ღირებულებაც).

პირველი წიგნი გამოვა იანვრის ბოლოს, მეორე — ზაფხულში.

წიგნის გამოსვლის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, სად შეიძლება შევიძინოთ იგი, ტალონის მფლობელები შეიტყობენ „ჯვარის მოამბეში“ გამოქვეყნებული განცხადებების მიხედვით.

რამე გაუგებრობის შემთხვევაში უნდა მიმართონ „ჯვარის მოამბის“ რედაქციას ჯვარში (მისამართი და ტელეფონები მითითებული იქნება გაზეთის ბოლოს), ან რედაქციის წარმომადგენელს, რომელიც ზის გაზეთ „ოდიშის“ რედაქციის შენობაში (ტ. 2-14-27).

მურად შანტურია,

„ჯვარის მოამბის“ რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შეიქმნა ეროვნულ-ოპოზიციურ ძალთა საკრებულო

ეროვნული მოძრაობის შემდგომი წინსვლის, იმპერიული სტრუქტურების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის გაფართოების მიზნით შეიქმნა ზუგდიდის ეროვნულ-ოპოზიციური ორგანიზაციების საკრებულო, რომელშიც გაერთიანდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მეოთხე დასი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტები, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ზუგდიდის განყოფილება.

საკრებულომ აირჩია გამგეობა 12 კაცის შემადგენლობით. არჩეულ იქნა აგრეთვე საკრებულოს მუშაობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის გავრცელების პრეს-ცენტრი 6 წევრის შემადგენლობით.

ზუგდიდის ეროვნულ-ოპოზიციურ ორგანიზაციათა საკრებულოს პრეს-ცენტრი.

## წერილი რედაქციას!

წავიკითხეთ თქვენი გაზეთის 27 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული კოლექტიური წერილი, რომელიც საქალაქო ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხს, ქალაქ ზუგდიდში სატელევიზიო გადამცემ სადგურში შექმნილ მდგომარეობას ეხებოდა.

როცა ამ პუბლიკაციას გავეცანით, ჩვენი კოლექტივის წევრთა აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ისინი მზად იყვნენ ჩარეულიყვნენ საქმეში და რადიკალური ზომები მიეღოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც აფერხებს სატელევიზიო გადაცემებს ჩვენს რეგიონში. ვისა აქვს უფლება თავიანთ პირად კაპრიზებს ანაცვალოს საზოგადოების ინტერესები. ბოლოსდაბოლოს ვინ უნდა მოაგვაროს ასეთი კონფლიქტური სიტუაციები. ნუთუ ყოველივე ამის მოწესრიგება არ შეიძლება საზოგადოებრიობის აქტიური ჩარევის გარეშე.

ზუგდიდის სატელევიზიო გადამცემი სადგურის მუშაკთა მიმართ ჩვენი კოლექტივის თავდაპირველი წყრომა ძალზე კრიტიკული იყო განწყობილი და ამ დროს 8 იანვარს გაზეთ „ოდიშში“ კვლავ გამოქვეყნდა წერილი იმავე თემაზე. ამჯერად წერილს ხელს აწერენ სატელევიზიო გადამცემი სადგურის მუშაკები, წერილის ავტორები დაბეჯითებით გვიმტკიცებენ, რომ მათ არავითარი ბრალი არ მიუძღვით სატელევიზიო გადაცემათა შეფერხებაში.

გთხოვთ, გაგვარკვიოთ რომელი მხარეა მართალი. ვინ უკეთებს სატელევიზიო სადგურს ბლოკადას და თუ ეს ასე არ არის, მაშინ რაში დასჭირდათ ასეთი ცილისწამება. ჩვენ ტელემაყურებლებს სულაც არ გვაინტერესებს ვინმეს დასჯა. ჩვენ მხოლოდ ნორმალური ტელეგადაცემები გვჭირდება.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ 27 დეკემბრამდე, ვიდრე გაზეთ „ოდიშში“ მამხილებელი პუბლიკაცია არ გამოქვეყნდებოდა, ჩვენ გარკვეული არ ვიყავით და ტელეგადაცემათა უხარისხობას ხან საკავშირო ტელევიზიას ვაბრალებდით და ხანაც რესპუბლიკურს. ახლა კი გვესმის რომ ამაში ადგილობრივ სატელევიზიო გადამცემი სადგურის მუშაკებს მიუძღვით ბრალი.

ჩვენ ტელემაყურებლებს არაფერში არ გვაინტერესებს როგორ და მისი ოჯახის დიდმა ე თუ საქართველოს კავშირგაბმულობის რესპუბლიკური სატელევიზიო გადამცემი ცენტრი. მოსახლეობას ნორმალური სატელევიზიო გადაცემა სჭირდება.

ზუგდიდის პურპროდუქტების კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის სახელით

ვ. გულორდავა.

## „მკვდარი სახლი“

ჯემალ ქარიას რომანი „მკვდარი სახლი“, რომლის სათაურიც დოსტოევსკის წიგნიდან არის აღებული, ეხება ლირიკული გმირის მოგზაურობას ხულეთში. მწერლის თქმით, „ფორმის თვალსაზრისით იგი წინა რომანების გაგრძელებაა. ამით იკვრება ტრიადა, პირველში თუ მითოსი ერთგვარი შენაკადია, მეორეში—რეალობა და მითოსი ერთმანეთს ერწყმის, ამაში მითიურია წამყვანი, რეალური კი — მეორადი... ამბობენ, მწერალი უპირველეს ყოვლისა თავის თავზე წერსო. ეს თუ მართალია, მაშინ „მკვდარი სახლი“ ყველაზე ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია, თუმცა ავტორის ბიოგრაფიასთან გარეგნულ პარალელების ძებნას აზრი არა აქვს“. რომანის სამსახურში ჩაყენებული მითოსი თავის სიმბოლურ გამოხატულებას ევრიდიკეს და ორფევსის ლეგენდის ქველმძრახულ ვარიანტში პოვებს.

„მკვდარი სახლი“ წარმოგვიდგება როგორც მწერლის შინასამყაროს, სულის ამბავი. რომანის ფაბულა გარკვეულწილად „ორეულის“ ფენომენზეა აგებული, რასაც თავად „მკვდარი სახლის“ არსი განაპირობებს, რომელიც მწერლის სულში ციურ წმიდა ზრახვებსა და მიწიერ ორეულს შორის მიმდინარე უწყვეტი ბრძოლის ანარეკლია. „მკვდარ სახლში“ წინა პლანზეა წამოწეული ამ ნაწარმოების შინაარსის სირთულით განპირობებული ფორმისეული ელემენტები, რომლებიც ძირითადი თემის გაძლიერებისათვის, ხაზგასმისთვისაა გამოყენებული. ლირიკული გმირის მიერ ინტერპრეტირებული რომანში განვითარებული მოვლენები შეესაბამება მის როგორც გარე, ისე შინასამყაროსეულ წიაღსვლებს.

„მკვდარ სახლში“ მითოსი პირდაპირ, პირველყოფილი სახით არ გადმოდის, არამედ ის ემორჩილება მწერლის მიზანდასახულობას. როგორც ცნობილია, საკუთრივ მითოსური ცნობიერებიდან გამომდინარე მითოსი არ არის ფიქცია და ფანტაზიის თამაში, რადგან მოიცავს გარკვეულ სტრუქტურას და წარმოადგენს ლოგიკურ, ე. ი. ცნობიერებისა და ყოფის დიალექტიკურ კატეგორიას. მითოსი უფრო გრძნობადი კატეგორიაა, ვიდრე ზეგრძნობადი. რომანში მწერალი მითოსურ სამყაროს სიმბოლოებით გამოხატავს. აქ სქემებისა და „პაროდიების“ საპირისპიროდ ჩვენ ვხედავთ სრულ წონასწორობას „იდეალურსა“ და „რეალურს“ შორის. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ სიმბოლოში „სახე“ და „იდეა“ ერთმანეთის იდენტური იყოს. რომანში ასახული სამყაროს „მხატვრულ ხედვას“ საფუძვლად უდევს მწერლის მიერ დანახული ნამდვილი „სოფლის“ მხატვრული აღქმა. „მკვდარ სახლში“ მთელი ტრაგიკული ექსცენტრიადა ზედმიწევნით ზუსტ ფსიქოლოგიურ საყრდენზე ვითარდება. ასახულია ცხოვრებისეული სისასტიკე და მითოლოგიური გმირის შემართებით ადამიანის თავგანწირული შერკინება ბედისწერასთან, მაგრამ მაინც სიკეთის საბოლოო გამარჯვება, ბოროტების დამარცხება წარმოადგენს ამ რომანის მამოძრავებელ იმპულსს. აღსანიშნავია ისიც, რომ მწერალმა გარკვეული გამოცდილების გათვალისწინებით მოახდინა რომანის სტრუქტურის თავისებური მოდერნიზება, რითაც ახალი ფერები შემატა ეროვნული ლიტერატურის პალიტრას.

ასეთია სრულიად მოკლედ და სქემატურად ჯემალ ქარიას რომანის „მკვდარი სახლის“ მხატვრული ანალიზის ცდა.

ნ. გულორდავა.

## დათო კვარაცხელიას ხსოვნას

წავიდა ჩვენგან სიცოცხლის ტრფიალით დაუპურებელი, ტანაშოლტილი, ერთი შეხედვით, დაუსრულებელი ვაჟკაცი, მაგრამ უმანკო, ჯერ კიდევ მხოლოდ თექვსმეტი წლისა, №15 საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე დათო რეზოს ძე კვარაცხელია.

რამდენი სითბო, სინათლე და სიკეთე მოჰქონდა მას ნაცნობმეგობრებისთვის.

დათო! შენი უმწიკვლო სული ანგელოზების საუფლოშია. სახელი კი მარად იცოცხლებს შენი მეგობრებისა და პედაგოგების ხსოვნაში.

№15 საშუალო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივი.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 10 იანვარს.

რედაქტორი ბა. შანტურია.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ზუგდიდის სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში ჭირდებათ უმცროსი მედდები (სანიტრები), მეკარდირონე და მეკარე. აბიტურიენტებს დასახელებულ თანამდებობებზე მუშაობა უმაღლეს ან სპეციალურ სასწავლებლებში ჩაეთვლებათ შრომით სტაჟში.

მეუღლე ნინელი, შვილები: ვიკა, გოჩა, და ნათელა. ძმები შაქრო, ბოჩო, რეზო. შვილიშვილი ვიკა. სიდედრი ბაბილინა მირგატია. რძლები: თინა ჯაბუა, ლამარა კოსტავა, მიმოზა ფიფია, ია ნარსია, მზია ჯაიანი, ცოლისძმა გოიმორი ჭკადუა, მზახლები რიმა, გივი ჯაბუები, დისშვილი ჯულიეტა წულაია, დეიდაშვილები: ლაურა, ჟორა, ბორისი. გურამი თოდუები, ბიძაშვილები: დინარა, გურამი, მურმანი, ლიანა ლურჯკაიები, ძმისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან ომსარი კოსტას ძე თოდუას გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10, 11 იანვარს. დაკრძალვა 12 იანვარს ს. ნარაზენში.

მეუღლე ლიდა. შვილები იზო. ნინო. სერგო. ვლადიმერი. თემური. და ქეთო. ძმა გიორგი. რძლები გუდრუნი. ანგელინა. ნაზი. გალია. რადა. შვილიშვილები: ლევანი, კოტე. თამუნა. თეადორა. მარიკა. ვიკა. შვილთაშვილი ანა. დეიდაშვილები. ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ბუკიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9 იანვარს. გამოსვენება 10 იანვარს 15 საათზე, ქ. ზუგდიდი, ერისთავის ქ. №1, ბინა 6-დან.

კორცხელის საშუალო სკოლის პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივი იუწყებიან მასწავლებლის

**ლილუშა ანტონის ასულ ლაშხიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

და ტატიანა როგავა, სიძე დიმიტრი მამფორია. დისშვილები: აზა, ტარიელი. დისშვილიშვილები ირინა, ირაკლი შეროზიები ოჯახებით იუწყებიან

**ალექსანდრე დიმიტრის ძე როგავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 8 იანვარს, სოფელ ოტობაიაში (გალის რაიონი).

მეუღლე ივლიტა. შვილი მიხეილი. შვილიშვილები: დოდო, მიხო სამუშიები, ნატო, ზაურ ჯინჯოლავები, რძლები: ნორა ფიფიაია, შუშანიკა, სონია სამუშიები, ქეთინო ქირია, მაკა თირქია, ნინო ქათამაძე. სიძეები: ვალიკო ჯინჯოლავა, ანზორ ტაბაღუა. ვალტერ ვაგუა. ძმისშვილები: ნუცა. ბუღუკი. ქენია. მარგო, ვაკონა, ვარდიშა. ზაირა. ბორისი. რეზო. არველოდი. ომიკო სამუშიები. ცოლისდისშვილები: ნათიკო, ბოჩია. ქიგული გუჩუები. ცოლისძმისშვილები: მთვარისა, ნოდარი. გერონტი გოგოხიები. შვილთაშვილები: ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ლავრენტი ბახსუს ძე სამუშიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 იანვარს გამოსვენება 10 იანვარს 4 საათზე. ზუგდიდი, ქუთაისის ქუჩა 48-დან. დაკრძალვა სოფ. ლიაში (პალური).

მეუღლე იურა. სიდედრი აგრა. შვილები სვეტლანა. ვახტანგი. გოჩა. შვილიშვილები დათა. ნანა ცირდავები. იზოლდა. ანჟელა ბეგლარაშვილები, დები: ფაუსტა, ვიდიშა. ძმა ავთანდილ კვარაცხელიები. რძლები მანანა არქანია. ელისო ჯალაღონია. ზაზუცა ქარჩავა. სიძეები ტიტე სახოკია. შურა. გენადი ბეგლარაშვილები. გივი შანავა. გალიკო გახარია. მულები: ნათელა. თინა. მაზლი გურამი ცირდავები. დეიდები: კლარა. ნუცა. დომნიკა. ბიძები: გოლოდია. მამანტი შენგელიები. მზახლები ვერა. მიშა ბეგლარაშვილები, ნაზი. ხუტა არქანიები. ნელი. ჟორა ჯალაღონიები. დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მაზლიშვილები. ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ცურუ (აზა) მიტროფანეს ასულ კვარაცხელია-ცირდავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6, 7 იანვარს. დაკრძალვა 8 იანვარს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კომკავშირის ქ. 64.

ნუცა. რევაზი და რუსლანი ლაშხიები ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის

**ლილუშა ანტონის ასულ ლაშხიას**

გარდაცვალებას.

მეუღლე ლიდია მისხია. შვილები: ნონა, გერონტი. დები ბუქლუ, ვერა. თინა, ძმები შალიკო, აპოლონ ჯიქინძეები, დეიდა ძლვაბა. სიძეები ჯამბულ ჯაბუა, ლაუ კერზაია, რძლები მოკონა სოსელია, ქეთო შამათავა, შვილიშვილები მანანა, ლევან ჯაბუები, ცოლისდა ჟუნა მესხია, ქვისლი ორდენ კონჯარია, ახლო ნათესავები იუწყებიან

**დავით ძუკუს ძე ჯიქინძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, იანვარს. დაკრძალვა 6 იანვარს 4 საათზე. გამოსვენება ტელმანის ქ. 24.

შვილები მარგო. ლენტისა, ნუგზარი. რძლები თამარა. მზია. თინა. იზო. ნარგიზა. მერი. მაზლიშვილი ცოცო. სიძე ნექტარ ქვარაია. ძმისშვილები ზოია. ეთერი. გრაფი. ვენედი. მურმანი. ჯემალი ნარმანიები. დისშვილი ჟუნა ახალაია. მულიშვილები: ბაბუცა. მანიკო, დათიკო თოლორაიები. აგნიცა. თალიკო. ციალა შამუგიები. ოლია ხაბურზანია. შვილიშვილები: ოთარი. ნინო. ლევანი. ბიძაშვილები ნინა. ჭატა ნარმანიები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**თამარა გრიგოლის ასულ ნარმანია-ბიბლაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8. 9 იანვარს. დაკრძალვა 10 იანვარს სოფ. ორსანტიაში.

შვილები: ლუნა, მერი, ჯემალი. გურამი. ძმა კონსტანტინე კოდუა. რძლები ლოლა გუგუჩია. ლიანა ფარჯიკია, ასმათ დგებუაძე, ნანა ბარქაია, სიძე ლავრენტი ლატარია. შვილიშვილები: ბიძინა, ელგუჯა ლატარიები, ედიშერი. ლაშა. მედეა, მადონა. გიორგი აბშილავები, ენრიკო პანტურია, შვილთაშვილი ლევანი ლატარია. ძმისშვილები: ჯამაზი, კლარა, სვეტლანა, გულივერი, ჯამბული. პაატა კოდუები. ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მულიშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**საშა (ალექსანდრა) ჯამას ასულ კოდუა-აბშილავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 იანვარს. დაკრძალვა 10 იანვარს სოფელ აბასთუმანში (ხეცერის უბანი).

ზუგდიდის სტამბისა და გაზეთ „ოდიშის“ რედაქციის მუშაკები იუწყებიან

**სონია ნესტორის ასულ მალანიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ოდიშის“ რედაქციისა და ზუგდიდის სტამბის მუშაკები თანაუგრძნობენ ჯემალ ფილფანს დედის ნინოს გარდაცვალების გამო.

ბიძაშვილი თამარი, ბიძაშვილები: დინარა, გურამი ლურჯკაიები. რძალი ლუარა გერგაია ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ომსარი კოსტას ძე თოდუა.

ინდექსი 68307 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-21-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-98

საქ. პოლიგრაფკომბინატის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ № 52, ტელეფონი 2 23 07 ტირაჟი 8000 შეკ. №22.